

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება

1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: წარჩინებულ მოსწავლეთა მედლები - სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო-
32 02 04 04

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
32 02 04 04	წარჩინებულ მოსწავლეთა მედლები - სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	0.00	0.00	0.00	0.00%	

ათას ლარებში

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

გამოცხადებულია ტენდერი წარჩინებული მოსწავლეებისთვის 3 900 ერთეული მოოქროვილი და 1 200 მოვერცხლილი მედლის შესყიდვის მიზნით.

1.2 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (32 02 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
32 02 06 01	მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	3 095.52	193.15	184.27	95.40%	

ათას ლარებში

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების

მოკლე აღწერა:

- გაფორმებულია ხელშეკრულება მე-8 და მე-9 კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოების აუდიოვერსიების შექმნის მიზნით, ამ ეტაპზე მოწოდებულია 9 გახმოვანებული სახელმძღვანელო ქ თბილისის 202-ე საჯარო სკოლისთვის გადასაცემად;
- გაფორმებულია ხელშეკრულება V-VI (A1 დონე) და VII-VIII (A1/A2 დონე) კლასების მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ფრანგული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების მიწოდების მიზნით;
- გაფორმდა ხელშეკრულება VIII კლასის სახელმძღვანელოების ბეჭდვისთვის, რომელიც ითარგმნა, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ამასთანავე I-XII კლასის რვეულებისა და VII კლასის სპორტის სახელმძღვანელოს ბეჭდვისთვის. ჯამში 2 021 551 ერთეული სახელმძღვანელო და რვეული.
- გაფორმებულია ხელშეკრულება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ბრაილის შრიფტითა და რელიეფურად დასაბეჭდი სახელმძღვანელოების შესყიდვის მიზნით;
- გაფორმებულია ხელშეკრულებები VIII-IX კლასის ზოგიერთი სახელმძღვანელოს რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნისა და მათი ავთენტურობის დადგენის მიზნით.

1.3 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
32 02 10 01	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	6 500.00	7 050.00	7 049.99	99.99%	
32 02 10 02	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	1 012.13	812.20	466.91	57.48%	

ათას ლარებში

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- 2021-2022 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში განხორციელდა 24 საჯარო სკოლის 5 812 მოსწავლის ტრანსპორტირება თბილისის მასშტაბით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 30 საჯარო სკოლის 1 904 მოსწავლის და ასევე 6 სკოლის 380 შშმ და სსსმ სატატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლის ტრანსპორტირებით მომსახურება
- დაფინანსდა 56 მუნიციპალიტეტი საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვის მიზნით.

1.4 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი" (32 02 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
32 02 12	პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი"	44 000.00	18 795.63	18 795.59	99.99%	

ათას ლარებში

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში შესყიდულია 60 000 ერთეული პორტაბელური კომპიუტერის/ბუქი პირველკლასელებისა და მათი დამრიგებლებისთვის.

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
32 07 01	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	12 649.74	6 096.56	5 738.30	94.12%	
32 07 02	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	3 886.75	2 227.00	1 775.61	79.73%	
32 07 03	სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება	105.00	526.07	526.07	100.00%	
32 07 04	უმალღესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	750.00	359.68	288.38	80.17%	

32 07 05	საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება	1 419.00	2 494.81	2 045.71	81.99%	
----------	---	----------	----------	----------	--------	--

1.5 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 01)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- დასრულებულია 28 საჯარო სკოლის ნაწილობრივ სარეაბილიტაციო და ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- 23 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც გამოცხადებულია ტენდერები;
- 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში დამონტაჟებულია ფარდა-ჟალუზები ქ.თბილისის N199, ქ. თბილისის N86 და სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლაში;
- 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ რეაბილიტირებულ 38 საჯარო სკოლაში დამონტაჟებულია ფარდა-ჟალუზები;
- 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დარიგებულია 20 000 ერთეული მერხი 152 საჯარო სკოლაში;
- დაფინანსებულია 29 საჯარო სკოლა ნაწილობრივ სარეაბილიტაციო და ინვენტარით აღჭურვის მიზნით.

1.6 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- დასრულებულია სსიპ კოლეჯი მერმისის ავტოსახელოსნოს და საწყობის რეკონსტრუქციის მშენებლობა;
- გამოცხადებულია ტენდერი სსიპ „კოლეჯი ბლექსის“ სამშენებლო სამუშაოებისთვის და ამასთანავე სსიპ კოლეჯი „აისის“ ლაგოდების მუნიციპალიტეტ სოფელი შრომისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის ფილიალებში სახელოსნოების სამშენებლო სამუშაოებზე;
- დაფინანსებულია ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ 2- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღჭურვილობების შეძენის მიზნით, სსიპ კოლეჯი მოდუსი სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მიმღებ-მაკონტროლებელი მოწყობილობის დამოუკიდებელი კვების წყაროთი აღჭურვის მიზნით, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნ.ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციის მიზნით, ბათუმის საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის ინვენტარით აღჭურვის მიზნით.

1.7 სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 03)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობს სამუშაოები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობის ნაწილობრივი რებილიტაციისთვის;
- გამოცხადებულია ტენდერები თელავისა და მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის.

1.8 უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 04)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობს სამუშაოები სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგიონალური ინოვაციების ჰაბის მშენებლობის, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ძირითად შენობაში ორი სამგზავრო ლიფტის გამოცვლის სამუშაოები და ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ვივარიუმისა და გერენტოლოგიის შენობების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები

1.9 საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (32 07 05)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საჯარო სკოლებში განსახორციელებელ სადენზიფიკაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილია და დარიგებულია 6 475 300 ერთეული პირბადე;
- შესყიდულია 4 901.40 ლიტრი სადენზიფიკაციო კონცენტრატი და გადაცემულია 1 829 საჯარო სკოლისთვის;
- შესყიდულია 850 560 ლიტრი ხელის სადენზიფიკაციო ხსნარი, ჯამური რაოდენობიდან 425 360 ლიტრი გადაცემულია 2 081 საჯარო სკოლისთვის;
- შესყიდულია 2 400 ერთეული დისპანსერი, 608 საჯარო სკოლისთვის გადაცემულია 2 385 ერთეული;
- შესყიდულია 10 000 ცალი უკონტაქტო ელექტრო თერმომეტრი, დარიგება განხორციელდება საჯარო სკოლების მოთხოვნის შესაბამისად;
- შესყიდულია 500 ცალი დეზოზარიერი და დარიგდება მოთხოვნების შესაბამისად.

1.10 პროფესიული განათლება I (KfW) (32 09)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
32 14	პროფესიული განათლება I (KfW)	142.08	131.82	130.28	98.83%	

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

2021 წელს დასრულდა საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის სატენდერო პროცედურები, გაფორმდა ხელშეკრულება შერჩეულ საკონსულტაციო კომპანიასთან. მიმდინარე წელს მომზადდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია პროფესიული განათლების ცენტრის მშენებლობის და აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით.